

საჯარო სამართლის იურიდიული პირი  
სოციალური მომსახურების სააგენტო

# ბ რ ძ ა ნ ე ბ ა



KA030435837031815

04-160/ო

08 / ივნისი / 2015 წ.

„ფსიქოსოციალური საჭიროებიდან გამომდინარე ექსპერტიზის ჩატარების წესისა და სტანდარტების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2015 წლის 29 მაისის N01-16/ნ ბრძანებით გათვალისწინებული საკითხების ადმინისტრირებასთან დაკავშირებით ზოგიერთი დონისძიებების თაობაზე

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2015 წლის 29 მაისის N01-16/ნ ბრძანების, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 27 ივნისის N190/ნ ბრძანებით დამტკიცებული სსიპ-სოციალური მომსახურების სააგენტოს დებულების მე-4 მუხლის საფუძველზე,

## ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა :

### 1. დამტკიცდეს:

- ა) მეურვის/მზრუნველის/მხარდამჭერის საქმიანობაზე ზედამხედველობის განხორციელების წესი და პირობები (დანართი N1);
- ბ) მეურვის/მზრუნველის/მხარდამჭერის საქმიანობაზე ზედამხედველობის ფორმა (დანართი N2);
- გ) სოციალური მუშაკის მიერ ფსიქოსოციალური საჭიროებიდან გამომდინარე შესაფასებელი პირის შეფასების ფორმა (დანართი N3);
- დ) ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე პირის შეფასების ფორმის შევსების ინსტრუქცია (დანართი N4);

ე) მხარდაჭერის ანგარიშის ფორმა (დანართი N5).

2. ამ ბრძანების ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად გამოცხადდეს "მეურვის/მზრუნველის საქმიანობაზე ზედამხედველობის ფორმის დამტკიცების შესახებ" სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტოს დირექტორის 2011 წლის 23 მაისის N04-105/ო ბრძანება.

3. სააგენტოს ადმინისტრაციულმა დეპარტამენტმა (გ. გოგოლაძე) უზრუნველყოს:

ა) წინამდებარე ბრძანებისა და მისი დანართის განთავსება სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე ([www.ssa.gov.ge](http://www.ssa.gov.ge)).

ბ) წინამდებარე ბრძანების სააგენტოს სტრუქტურული და ტერიტორიული ერთეულებისთვის გაცნობა.

5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერის დღიდან.

სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტოს  
დირექტორი, საქართველოს შრომის,  
ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის  
მინისტრის მოადგილე



ზაზა სოფრომაძე

**მეურვის/მზრუნველის/მხარდამჭერის საქმიანობაზე ზედამხედველობის  
განხორციელების წესი და პირობები**

**მუხლი 1. ზოგადი დებულებები**

1. წინამდებარე მეურვის/მზრუნველის/მხარდამჭერის საქმიანობაზე ზედამხედველობის განხორციელების წესი და პირობები (შემდგომში – წესი) შემუშავებულია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1305<sup>7</sup>-ე და 1305<sup>6</sup>-ე მუხლების გათვალისწინებით და განსაზღვრავს მეურვის/მზრუნველის/მხარდამჭერის მიერ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოვალეობების შესრულებაზე მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს (საჯარო სამართლის იურიდიული პირი – სოციალური მომსახურების სააგენტო და მისი ტერიტორიული ერთეულები) მხრიდან ზედამხედველობის განხორციელების მიზნით გასატარებელ ღონისძიებებს.

2. ეს წესი არ ვრცელდება იმ შემთხვევებზე, როდესაც სამეურვეო/სამზრუნველო/მხარდაჭერის მიმღები პირის მეურვე/მზრუნველი/მხარდამჭერი თავად არის მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო.

**მუხლი 2. ზედამხედველობის ფარგლები და ზედამხედველობის განმახორციელებელი ორგანოები**

1. მეურვის/მზრუნველის/მხარდამჭერის კანონმდებლობით განსაზღვრულ საქმიანობაზე ზედამხედველობის განხორციელება წარმოადგენს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სოციალური მომსახურების სააგენტოს (შემდგომში – სააგენტო) და მისი ტერიტორიული ერთეულების (შემდგომში – მეურვეობისა და მზრუნველობის ადგილობრივი ორგანო) ფუნქციას, რომელიც ხორციელდება ამ წესით განსაზღვრულ უფლებამოსილებათა ფარგლებში.

2. პენიტენციურ დაწესებულებებში სამეურვეო/სამზრუნველო/მხარდაჭერის მიმღები პირის მოთავსებისა და იქ ყოფნის პერიოდში ჩერდება მეურვის/მზრუნველის/მხარდამჭერის საქმიანობაზე ზედამხედველობა. ამ შემთხვევაში ამ პირთა მიმართ ზედამხედველობის ფარგლები მოიცავს მხოლოდ მათ შესახებ შესაბამისი ინფორმაციის ელექტრონულ ბაზაში განთავსებას.

3. საზღვარგარეთ მეურვის/მზრუნველის/მხარდამჭერის გასვლის და/ან სამეურვეო/სამზრუნველო/მხარდაჭერის მიმღები პირის გაყვანის შემთხვევაში ჩერდება მეურვის/მზრუნველის/მხარდაჭერის საქმიანობაზე ზედამხედველობა სამეურვეო/სამზრუნველო/მხარდაჭერის მიმღები პირისა ან/და მეურვის/მზრუნველის/მხარდაჭერის საქართველოში დაბრუნებამდე. ამ შემთხვევაში ამ პირთა მიმართ ზედამხედველობის ფარგლები მოიცავს მხოლოდ მათ შესახებ შესაბამისი ინფორმაციის ელექტრონულ ბაზაში განთავსებას.

4. გარდა მხარდაჭერის მიმღები პირისა (თუ მის მხარდამჭერად დანიშნულია სადღეღამისო სპეციალიზირებული ან ფსიქიატრიული სამედიცინო დაწესებულების მუშაკი), სამეურვეო/სამზრუნველო პირის სადღეღამისო სპეციალიზებულ დაწესებულებაში ან ფსიქიატრიულ სამედიცინო დაწესებულებაში სტაციონარიზაციის პერიოდში, სააგენტო და მეურვეობისა და მზრუნველობის ადგილობრივი ორგანო თავისუფლდება სამეურვეო/სამზრუნველო პირის პერსონალური მონახულების ვალდებულებისაგან. სამეურვეო/სამზრუნველო პირის ფაქტობრივი მდგომარეობის შესახებ საჭირო მონაცემები შესაძლებელია მიღებულ იქნეს სპეციალიზებული დაწესებულების ადმინისტრაციისაგან წერილობითი ფორმით.

5. „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, გათვალისწინებულ ოკუპირებულ ტერიტორიაზე მეურვის/მზრუნველის/მხარდაჭერის საქმიანობაზე ზედამხედველობა არ ხორციელდება საქართველოს იურისდიქციის სრულად აღდგენამდე“.

6. სრულწლოვან პირებზე დაწესებული მზრუნველობის შემთხვევების ზედამხედველობა მოიცავს სამზრუნველო პირისაგან წერილობითი ფორმით ინფორმაციის მიღებას (თუ ამის საშუალებას იძლევა სამზრუნველო პირის ჯანმრთელობის მდგომარეობა), რომლის მოთხოვნის შესაბამისადაც ხორციელდება ზედამხედველობის შედეგების განსაზღვრა.

7. დაწესებული მხარდაჭერის შემთხვევების ზედამხედველობა მოიცავს მხარდაჭერისგან წერილობითი ინფორმაციის მიღებას დადგენილი ფრმის შესაბამისად.

8. მეურვეობის/მზრუნველობის/მხარდაჭერის შეწყვეტა, მეურვის/მზრუნველის/მხარდაჭერის გადაყენება ან გათავისუფლება იწვევს ამ მზრუნველის/მეურვის/მხარდაჭერის საქმიანობაზე ზედამხედველობის შეწყვეტას.

### **მუხლი 3. მეურვეობის/მზრუნველობის/მხარდაჭერის მონაცემთა ბაზა;**

1. მეურვეობის/მზრუნველობის/მხარდაჭერის ზედამხედველობის შედეგების ასახვის მიზნით იქმნება მეურვეობის/მზრუნველობის/მხარდაჭერის მონაცემთა ელექტრონული ბაზა

(შემდგომში – მონაცემთა ბაზა), სადაც მოცემულია ინფორმაცია მეურვეობის/მზრუნველობის/მხარდაჭერის დაწესების თითოეული შემთხვევის შესახებ, სამეურვეო/სამზრუნველო/მხარდაჭერის მიმღები პირისა და მისი მეურვის/მზრუნველის/მხარდაჭერის პირადი მონაცემები, მეურვის/მზრუნველის/მხარდაჭერის გათავისუფლების, გადაყენების, მეურვეობის/მზრუნველობის/მხარდაჭერის შეწყვეტის, ბათილობის, გაუქმების, სამეურვეო/სამზრუნველო/მხარდაჭერის მიმღები პირის ქონებრივი უფლებების რეალიზაციისათვის თანხმობის მიღების შესახებ, . მეურვეობის/მზრუნველობის/მხარდაჭერის შემთხვევების ზედამხედველობის შედეგები და სხვა ინფორმაცია (მონაცემები), რაც უკავშირდება სამეურვეო/სამზრუნველო/მხარდაჭერის მიმღები პირს და სააგენტოს/მეურვეობისა და მზრუნველობის ადგილობრივი ორგანოსა და სასამართლოს გადაწყვეტილებას და მნიშვნელოვანია მეურვის/მზრუნველის/მხარდაჭერის საქმიანობაზე ზედამხედველობის განსახორციელებლად.

2. მონაცემთა ბაზის ფორმირება ხდება სააგენტოსა და მეურვეობისა და მზრუნველობის ადგილობრივი ორგანოების მიერ მოპოვებული (მიღებული) ინფორმაციის (მონაცემების) საფუძველზე.

#### **მუხლი 4. ზედამხედველობის პროცესი**

1. მეურვეობის/მზრუნველობის/მხარდაჭერის ზედამხედველობის პროცესი გულისხმობს მეურვის/მზრუნველის/მხარდაჭერის მოვალეობების განხორციელების მონიტორინგს, რომელიც ხორციელდება:

ა) დადგენილი პერიოდულობით (გეგმური ზედამხედველობა);

ბ) სააგენტოს/მეურვეობისა და მზრუნველობის ადგილობრივი ორგანოს ინიციატივით შერჩევითი პრინციპით;

გ) შემხვედრი აუცილებლობიდან გამომდინარე, როდესაც არსებობს ინფორმაცია მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს ჩარევის აუცილებლობის შესახებ.

2. გეგმური ზედამხედველობა ხორციელდება ამ წესით განსაზღვრულ ვადებში.

#### **მუხლი 5. გეგმიური ზედამხედველობის ვადები და გეგმა**

1. გეგმიური ზედამხედველობა ხორციელდება

ა) 6 თვეში ერთხელ;

ბ) სასამართლოს მიერ განსაზღვრული პერიოდულობით;

გ) მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს ინიციატივით, შემხვედრი აუცილებლობიდან გამომდინარე, თუ არსებობს ინფორმაცია მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს ჩარევის საჭიროების შესახებ.

2. მეურვის/მზრუნველის/მხარდამჭერის საქმიანობაზე გეგმური ზედამხედველობის განხორციელების დაწყებამდე მეურვეობისა და მზრუნველობის ადგილობრივი ორგანო ამტკიცებს ზედამხედველობის გეგმას.

3. ზედამხედველობის გეგმაში აისახება ზედამხედველობის დაწყების და დასრულების ვადები, გრაფიკი და ზედამხედველობის განმახორციელებელი უფლებამოსილი პირები.

## **მუხლი 6. ზედამხედველობის ფორმა**

1. მეურვის/მზრუნველის/მხარდამჭერის საქმიანობაზე ხორციელდება ფაქტობრივი ზედამხედველობა, თუ არ არსებობს მეურვეობის/მზრუნველობის შეწყვეტის კანონმდებლობით გათვალისწინებული საფუძველი.

2. ფაქტობრივი ზედამხედველობა მოიცავს კანონმდებლობით ნებადართული სხვადასხვა მოქმედების განხორციელების შედეგად მეურვის/მზრუნველის/მხარდამჭერის საქმიანობის ფაქტობრივ შემოწმებას.

## **მუხლი 7. ზედამხედველობის შედეგები**

1. მეურვეობისა და მზრუნველობის ადგილობრივი ორგანოს ზედამხედველობის შედეგები აისახება დასკვნაში. შედეგების მიხედვით დასკვნა შეიძლება იყოს დამაკმაყოფილებელი ან უარყოფითი.

2. ზედამხედველობის დროს დასკვნაში ყურადღება უნდა მიექცეს სამეურვეო/სამზრუნველო/მხარდაჭერის მიმღები პირის უპირატესი ინტერესების დაცვის საკითხს.

3. დასკვნა შეიძლება მიჩნეულ იქნეს დამაკმაყოფილებლად იმ შემთხვევაში, როდესაც მოპოვებული ინფორმაციის (მონაცემების) საფუძველზე დასტურდება მეურვის/მზრუნველის/მხარდამჭერის მიერ საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული უფლება-მოვალეობების შესრულება (მხარდაჭერის შემთხვევაში სასამართლოს გადაწყვეტილებით განსაზღვრულ სფეროებში) შესაძლებლობის ფარგლებში და ადგილი არ აქვს ნაკისრი ფუნქციების განზრახ უგულებელყოფას ან

სამეურვეო/სამზრუნველო/მხარდასაჭერი მიმღები პირის მიმართ განზრახ გულგრილ დამოკიდებულებას. დამაკმაყოფილებელი დასკვნა ინახება დადგენილი წესების შესაბამისად და დამატებით სხვა დოკუმენტი არ იქმნება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ზედამხედველობა განხორციელდა მეურვეობისა და მზრუნველობის ადგილობრივ ორგანოში შემოსული წერილობითი შეტყობინების საფუძველზე და ინფორმაციის მომწოდებელი ითხოვს გატარებული ღონისძიებების შესახებ წერილობით პასუხს. ამ შემთხვევაში, ასეთი პირისათვის გაგზავნილი პასუხი უნდა მოიცავდეს ზოგად ინფორმაციას ჩატარებული სამუშაოს და მიღებული შედეგების შესახებ; პასუხში არ უნდა აისახოს მეურვის/მზრუნველის/მხარდამჭერის და სამეურვეო/სამზრუნველო/მხარდაჭერის მიმღები პირის პერსონალური მონაცემები, იმ მონაცემების გარდა, რაც ინფორმაციის მომწოდებელმა მიუთითა განცხადებაში.

4. თუ მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო დაადგენს, რომ მეურვე/მზრუნველი/მხარდამჭერი არ ასრულებს ან არაჯეროვნად ასრულებს სასამართლოს გადაწყვეტილებით ან/და საქართველოს კანონმდებლობით მისთვის განსაზღვრულ მოვალეობებს, არღვევს სამეურვეო პირის/სამზრუნველო პირის/მხარდაჭერის მიმღების უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს, მას უარყოფითი დასკვნა გამოაქვს და მოქმედებს შემდეგნაირად:

ა) თუ მეურვის/მზრუნველის/მხარდამჭერის მოქმედებების ინტენსივობა ადმინისტრაციული ან სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრებისათვის არასაკმარისია:

ა.ა) სოციალური მუშაკის მეშვეობით ეხმარება მეურვეს/მზრუნველს/მხარდამჭერს, რათა მან უკეთ გააცნობიეროს და შეასრულოს თავისი მოვალეობები;

ა.ბ) თავისი მოვალეობისაგან ათავისუფლებს მეურვეს/მზრუნველს;

ა.გ) მიმართავს სასამართლოს მხარდამჭერის თავისი მოვალეობისაგან განთავისუფლების მოთხოვნით. ასეთ შემთხვევაში სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანამდე მხარდამჭერს უჩერებს უფლებამოსილებას და მისი მოვალეობების შესრულებას აკისრებს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს სპეციალურად უფლებამოსილ პირს (რომელზედაც ვრცელდება მხარდამჭერისთვის კანონით დადგენილი უფლებები და მოვალეობები);

ბ) მეურვის/მზრუნველის/მხარდამჭერის მოქმედებების ინტენსივობის შესაბამისად მოქმედებს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსითა და სისხლის სამართლის კანონმდებლობით დადგენილი წესებით.

## **მუხლი 8. ზედამხედველობის შედეგების სისტემატიზაცია**

1. მეურვეობისა და მზრუნველობის ადგილობრივი ორგანო ზედამხედველობის შედეგებს ან სამეურვეო/სამზრუნველო/მხარდაჭერის მიმღები პირის შესახებ მოპოვებულ ინფორმაციას ასახვას მონაცემთა ბაზაში, ან ელექტრონული ფორმით აწვდის სააგენტოს, რომელიც უზრუნველყოფს მის ასახვას მონაცემთა ბაზაში.

2. სააგენტო უფლებამოსილია, მეურვეობისა და მზრუნველობის ადგილობრივი ორგანოს მიერ წარმოებულ მეურვეობის/მზრუნველობის/მხარდაჭერის საქმესთან დაკავშირებით, დამოუკიდებლად შეიტანოს ცვლილებები ან ასახოს მის ხელთ არსებული ინფორმაცია მონაცემთა ბაზაში.

## **მუხლი 9. გარდამავალი დებულებები**

წინამდებარე წესი აგრეთვე მოქმედებს ქმედუწუნაროდ აღიარებულ პირებზე დაწესებული მეურვეობის შემთხვევებზე, 2015 წლის 1 აპრილამდე სასამართლოს მიერ ქმედუწუნაროდ ცნობილი პირის ინდივიდუალურ შეფასებამდე



მხარდაჭერის ანგარიშის ფორმა

---

მხარდაჭერი(სახელი, გვარი): \_\_\_\_\_

მხარდაჭერის მიმღები პირი (სახელი, გვარი, დაბადების თარიღი, პირადი ნომერი): \_\_\_\_\_

სასამართლოს გადაწყვეტილებით მხარდაჭერის საჭიროების განსაზღვრული სფერო: \_\_\_\_\_  
\_\_\_\_\_  
\_\_\_\_\_

სასამართლოს გადაწყვეტილებით მხარდაჭერის საჭიროების განსაზღვრულ სფეროში არსებული მდგომარეობა: \_\_\_\_\_  
\_\_\_\_\_  
\_\_\_\_\_

მხარდაჭერის მიერ ჩატარებული სამუშაოები: \_\_\_\_\_  
\_\_\_\_\_  
\_\_\_\_\_

მიღწევები განსაზღვრული საჭიროების სფეროში(ასეთის არსებობის შემთხვევაში): \_\_\_\_\_  
\_\_\_\_\_  
\_\_\_\_\_  
\_\_\_\_\_

მხარდამჭერის ხელმოწერა:

მხარდაჭერის მიმღების ხელმოწერა(შესაძლებლობების გათვალისწინებით):

ანგარიშის შესრულების თარიღი:

## ფსიქო-სოციალური საჭიროების მქონე პირის შეფასების ფორმის შევსების ინსტრუქცია

ფსიქო-სოციალური საჭიროების მქონე შესაფასებელი პირის (შემდგომში – შესაფასებელი პირი) შეფასების ფორმის ინსტრუქცია (შემდგომში „ინსტრუქცია“) განმარტავს ფსიქო-სოციალური საჭიროების მქონე პირის შეფასების ფორმის შევსების პროცედურებსა და საქმის წარმოებას.

### შეფასების ფორმის სტრუქტურა:

აღნიშნული ფორმა შედგება ოთხი ნაწილისაგან:

I. შესავალი ნაწილი;

II. დემოგრაფიული ნაწილი;

III. ინდივიდუალური შეფასებითი/აღწერილობითი ნაწილი;

IV. დასკვნითი ნაწილი;

#### I. შესავალი ნაწილი:

აღნიშნული ნაწილი მოიცავს შემდეგ ინფორმაციას:

- შეფასების დაწყების თარიღს; ტერიტორიული ერთეულისა და განმახორციელებელი სოციალური მუშაკის მონაცემებს, ასევე მომართველი ორგანოს რეკვიზიტებსა და მომართვის თარიღს;
- მხარდაჭერის საჭიროების მქონე (შესაფასებელი) პირის სახელი, გვარი;
- სასამართლო აქტის რეკვიზიტების გრაფაში იწერება სასამართლოს დასახელება, აქტის ნომერი და გამოცემის თარიღი;
- სასამართლოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული სფერო/სფეროების გრაფები ივსება ცალ-ცალკე.

#### II. დემოგრაფიული ნაწილი:

აღნიშნული ნაწილი მოიცავს შემდეგ გრაფებს:

- ინფორმაციას შესაფასებელი პირის ფაქტობრივი ადგილსამყოფელის შესახებ;
- ინფორმაციას შეფასების პროცესში ჩართული პირების შესახებ;
- შესაფასებელი პირის პირად ინფორმაციას
- ინფორმაციას ოჯახური მდგომარეობის შესახებ.
- 

#### III. ინდივიდუალური შეფასებითი/აღწერილობითი ნაწილი:

მოიცავს ინფორმაციას შესაფასებელი პირის უნარების შესწავლისა და სოციალურ გარემოში მისი მდგომარეობის შეფასების შესახებ, რომლის დროსაც ფასდება:

- პიროვნული ცნობიერება.

- ფსიქიკური/ემოციური მდგომარეობა.
- ურთირთობები ოჯახის წევრებთან.
- პირის ზრუნვის უნარი.
- მობილურობა/მოტორიკა,
- აღქმის უნარი, ორიენტაცია,
- კომუნიკაცია,
- თვითმოვლა და ჰიგიენა,
- საკვების მიღების უნარს
- ჯანმრთელობა და უსაფრთხოება,
- სოციალური აქტივობა/ქცევა, სახლის მოვლა/საოჯახო საქმიანობა/ქონების შენახვა – განკარგვა

თითოეული უნარი უნდა შეფასდეს მისი გამოვლენის ხარისხის შესაბამისად, კერძოდ:

- **არასოდეს:** პირი საერთოდ ვერ ავლენს ამა თუ იმ უნარს
- **ზოგჯერ:** გარკვეულ სიტუაციაში პირს შეუძლია გამოავლინოს ესა თუ ის უნარი.
- **ხშირად:** პირი უმეტესად ავლენს შესაბამის უნარს
- **ყოველთვის:** პირს შესწევს უნარი იმოქმედოს დამოუკიდებლად.
- **კომენტარის გრაფაში იწერება ყველა სხვა ინფორმაცია.**
- **ინფორმაციის წყაროს გრაფაში** უნდა იქნას მითითებული ინფორმაციის მომწოდებლის ვინაობა. ინფორმაციის მიღება უნდა მოხდეს შესაფასებელი პირისგან, მხარდამჭერის მსურველი პირისგან და შესაძლებლობის შემთხვევაში, გადამოწმდეს მესამე (არადაინტერესებულ) პირთან. იმ შემთხვევაში, თუ შესაფასებელი პირისგან ინფორმაციის მიღება შეუძლებელია, ინფორმაციის მიღება სასურველის მოხდეს მესამე არადაინტერესებული პირისგან, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

#### IV. დასკვნითი ნაწილი

ამ ბლოკში იწერება სასამართლოს მიერ გამოცემული აქტით მოთხოვნილი თითოეულ სფეროში/სფეროებში გამოკვეთილი მხარდაჭერის საჭიროების საფუძველზე, სოციალური მუშაკი შეფასების შედეგად მიღებული და დამატებით გამოკვეთილი საჭიროებების შესახებ რეკომენდაციის დასაბუთება.

შევსებულ ფორმას სოციალური მუშაკი ადასტურებს ხელმოწერითა და შეფასების დასრულების თარიღით.

**შეფასება ხორციელდება შესაფასებელი პირის ადგილსამყოფელის მიხედვით.**

**შეფასების ფორმა ივსება მომართვიდან არა უმეტეს 10 სამუშაო დღეში.**

**შევსებული ფორმა ეგზავნება სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს.**

**სოციალური მუშაკის მიერ ფსიქო სოციალური საჭიროებიდან გამომდინარე შესაფასებელი პირის შეფასების ფორმა**

აღნიშნული ფორმა ივსება ბენეფიციარის ადგილსამყოფელის მიხედვით, მასთან, ასევე ჩართულ სხვა პირთან ერთად

**I ნაწილი**

შეფასების დაწყების თარიღი	
შესაფასებელი პირის პირის სახელი და გვარი	
ტერიტორიული ერთეული/სოციალური მუშაკი	
მომმართველი ორგანოს რეკვიზიტები	
მომართვის თარიღი	

სასამართლო აქტის რეკვიზიტები	სასამართლოს დასახელება	აქტის ნომერი	გამოცემის თარიღი

**სასამართლოს აქტით განსაზღვრული მხარდაჭერის საჭიროების სფერო/სფეროები**

- 1
- 2
- 3
- 4

**და სხვ.**

**II ნაწილი**

**დემოგრაფიული ნაწილი**

შესაფასებელი პირის შეფასების ფაქტობრივი ადგილსამყოფელი	ოჯახი (მისამართის მითითებით)	სამედიცინო დაწესებულება (მისამართის)	სამზრუნველო დაწესებულება(მისამართის მითითებით)	სხვა (მისამართის მითითებით)	კომენტარი	ინფორმაციის წყარო
შეფასების პროცესში ჩართული პირები	ნათესავი (სახელი გვარი)	მკურნალი ექიმი (სახელი გვარი)	მეზობელი (სახელი, გვარი)	სხვა პირი (ასეთის არსებობის)	კომენტარი	

**შესაფასებელი პირის პირადი ინფორმაცია**

სახელი, გვარი	პირადი ნომერი	დაბადების თარიღი	ფაქტობრივი მისამართი	საკონტაქტო ტელეფონი (ბენეფიციარის ასევე ჩართული პირის)	კომენტარი	ინფორმაციის წყარო
განათლება	არაფორმალური	საბაზისო/სასკოლო	პროფესიული	უმაღლესი	კომენტარი	ინფორმაციის წყარო
სამედიცინო სოციალური ექსპერტის მიერ მინიჭებული ჯგუფი	მკვეთრად გამოხატული შშმ პირი _ I ჯგუფი (დააკონკრეტეთ დიაგნოზი)	მნიშვნელოვნად გამოხატული შშმ პირი _ II ჯგუფი (დააკონკრეტეთ დიაგნოზი)	ზომიერად გამოხატული შშმ პირი _ III ჯგუფი (დააკონკრეტეთ დიაგნოზი)	სპეციალური სტატუსი არ გააჩნია (დააკონკრეტეთ დიაგნოზი, არსებობის)	დააკონკრეტეთ დიაგნოზი	
სამუშაო გამოცდილება	არ აქვს	მუშაობდა (მიუთითეთ ვადა)	მუშაობს ამჟამად	აქვს სურვილი	კომენტარი	ინფორმაციის წყარო

**ოჯახური მდგომარეობა**

დაქორწინებული	განქორწინებული	ქვრივი	მარტოხელა	ვისთან/კინ ცხოვრობს მასთან
---------------	----------------	--------	-----------	----------------------------

III ნაწილი						
პიროვნული ცნობიერება						
უნარი	არასოდეს	ზოგჯერ	ხშირად	ყოველთვის	კომენტარი	ინფორმაცია ციის წყარო
შეუძლია საკუთარი სახელის და გვარის დასახელება						
იცის დაბადების წელი/თვე/რიცხვი						
იცის სახლის მისამართი						
შეუძლია სხევადასხვა ფორმების შევსება (დოკუმენტი)						
ფორმებში ავსებს ძირითადი პიროვნული ინფორმაციას						
შეუძლია საკუთარი ტელეფონის დაწერა და წარმოთქმა						
შეუძლია საკუთარი მისამართის დაწერა და წარმოთქმა						
შეუძლია პირადობის წარდგენა, როდესაც ამას სთხოვენ						
ურთიერთობები ოჯახის წევრებთან						
უნარი	არასოდეს	ზოგჯერ	ხშირად	ყოველთვის	კომენტარი	ინფორმაცია ციის წყარო
ურთიერთობა მშობლებთან						
ურთიერთობა დედამამიშვილებთან						
ურთიერთობები ნათესავებთან						
ცოლქმრული ურთიერთობები						
ურთიერთობა შვილებთან						
აქვს მიჯაჭვულობა ოჯახის წევრებთან						
ზრუნვის უნარი						
უნარი	არასოდეს	ზოგჯერ	ხშირად	ყოველთვის	კომენტარი	ინფორმაცია ციის წყარო
ზრუნავს თუ არა შვილებზე/შვილებზე						
ზრუნავს სამეურვეო/სამზრუნველო პირზე						
ზრუნავს შვილის/შვილების განათლებაზე						
დაცულია შვილის/შვილების უსაფრთხოება						
დაცულია შვილის/შვილების ჯანმრთელობა						
შვილის/შვილების აცვიათ სეზონურად						
ყავს შინაური ცხოველი/ცხოველები და ზრუნავს მასზე						
შეუძლია სხვაზე ზრუნვა/დახმარება						
მობილურობა/მოტორიკა						
უნარი	არასოდეს	ზოგჯერ	ხშირად	ყოველთვის	კომენტარი	ინფორმაცია ციის წყარო
გადაადგილდება დახმარების გარეშე						
გადაადგილდება დამხმარე საშუალებით (ხელჯოხი, ყვარჯენი, ეტლი)						
კიბეზე ასვლისა და ჩამოსვლის დროს ესაჭიროება დახმარება						
დგება და ჯდება დახმარების გარეშე						
აღებს და კეტავს კარს						
შეუძლია კალმის ჭერა						
შეუძლია ხატვა						
შეუძლია დალუქული პაკეტის გახსნა						
შეუძლია საგნის აწევა, გადატანა, აღება						
შეუძლია მკერატლის გამოყენება						
დანიშნულებისამებრ						
შეუძლია ტელეფონის გამოყენება						

შეუძლია კომპიუტერის გამოყენება						
სხვა						
<b>ორიენტაცია</b>						
უნარი	არასოდეს	ზოგჯერ	ხშირად	ყოველთვის	კომენტარი	ინფორმაციის წყარო
იცის სახლში ოთახების დანიშნულება და ადგილმდებარეობა						
შეუძლია საათის ცნობა						
შეუძლია საკრედიტო ბარათით სარგებლობა						
არჩევს დღე და ღამეს						
არჩევს თუ არა წელიწადის დროს						
შეუძლია ინსტრუქციის გაგება და შესრულება						
შეუძლია საზოგადოებრივი ტრანსპორტით სარგებლობა						
ბილეთის ყიდვა						
შეუძლია ტრანსპორტის მართვა						
შეუძლია ფერების აღქმა						
შეუძლია ბიუჯეტის განკარგვა/განაწილება						
შეუძლია ფულის კუპიურის განსხვავება						
შეუძლია შეტისა და ხაკლების აღქმა/ანგარიში						
შეუძლია თავისი და სხვისი ნივთების გარჩევა						
შეუძლია შეადგინოს სურსათის სია						
<b>კომუნიკაცია</b>						
უნარი	არასოდეს	ზოგჯერ	ხშირად	ყოველთვის	კომენტარი	ინფორმაციის წყარო
საუბრობს გამართული წინადადებებით						
საუბრობს 3-4 სიტყვის გამოყენებით						
შეუძლია კომუნიკაცია შესტების ენაზე						
შეუძლია კომუნიკაცია წერით						
შეუძლია კითხვა						
შეუძლია თვალთ კონტაქტი						
აქვს მეტყველების უნარი						
შეუძლია კითხვებზე პასუხის გადგმა						
საერთოდ არ შემოდის კონტაქტში						
<b>საკვების მიღების უნარი</b>						
უნარი	არასოდეს	ზოგჯერ	ხშირად	ყოველთვის	კომენტარი	ინფორმაციის წყარო
შეუძლია დამოუკიდებლად საკვების მიღება						
შეუძლია საკვების დაჭრას						
შეუძლია დახაჩაზლის,კოვზის გამოყენება						
ჭამს ხელით						
ღეჭავს საკვებს						
ენაჭიროება სპეციალურად მომზადებული საკვები (წვნიანი)						
სითხეს სვამს ჭიქიდან						
დამოუკიდებლად						
აქვს შიმშილის შეგრძნება						
აქვს წყურვილის შეგრძნება						
<b>თვითმოვლა და ჰიგიენა</b>						
უნარი	არასოდეს	ზოგჯერ	ხშირად	ყოველთვის	კომენტარი	ინფორმაციის წყარო
დამოუკიდებლად იხდის და იცმევს ტანისამოსს						
დამოუკიდებლად ივრავს ღილებს და ელვას						
აძინებს შესაბამისად შეუძლია აირჩიოს ტანისამოსი						
შეუძლია დამოუკიდებლად დაბანა/გამშრალება						
შეუძლია დამოუკიდებლად იყიდოს პროდუქტი						
დამოუკიდებლად იკმაყოფილებს ფიზიოლოგიურ მოთხოვნილებებს						

ესაჭიროება დახმარება ფიზიოლოგიური მოთხოვნების დაკმაყოფილებისას						
ესაჭიროება ჰიგიენური პაკეტი						
დამოუკიდებლად იხანს ხელ – პირს						
დამოუკიდებლად იხეხავს კბილებს						
დამოუკიდებლად ივარცხნის თმას და იჭრის ფრჩხილებს (ხელის, ფეხის)						
ესაჭიროება შეხსენება თვითმოვლისთვის						
<b>ჯანმრთელობა და უსაფრთხოება</b>						
უნარი	არასოდეს	ზოგჯერ	ხშირად	ყოველთვის	კომენტარი	ინფორმაცია ციის წყარო
შეუძლია დამოუკიდებლად მიიღოს წამალი						
ასხვავებს საკვებს სხვა ნივთიერებებისგან						
აქვს ტემპერატურის შეგრძნება ( ცივი /ცხელი)						
ასხვავებს გაფუჭებულ და საჭმელად გარჯის საკვებს						
იცის ვის/სად მიმართოს გადაუდებელ მდგომარეობისას						
იცის ქუჩაში მოძრაობის წესები						
შეუძლია ტელეფონის მოხმარება (დარეკვა 112).						
აქვს ტკივილის შეგრძნება						
<b>სოციალური აქტივობა/ქცევა</b>						
უნარი	არასოდეს	ზოგჯერ	ხშირად	ყოველთვის	კომენტარი	ინფორმაცია ციის წყარო
პირველი ამყარებს კონტაქტს						
საუბარში ერთევა ადეკვატურად						
პატის სცემს სხვებს						
ესალმება ადამიანებს და წარადგენს ხელს						
ახსოვს სულ ცოტა 2 ადამიანის სახელი მაინც						
ჩართულია საგანმანათლებლო აქტივობებში						
დასაქმებული არის/იყო						
დამოუკიდებლად კონტაქტობს ნაცნობ – მიგობრებთან						
შეუძლია აზრის გამოხატვა						
გამოხატავს ფიზიკურ აგრესიას						
გამოხატავს ვერბალურ აგრესიას						
აქვს/ქონდა თვითაზიანების მცდელობა						
გამოიჩევა შეუსაბამო სექსუალური ქცევით						
<b>სახლის მოვლა/საოჯახო საქმიანობა/ქონების შენახვა –განკარგვა</b>						
უნარი	არასოდეს	ზოგჯერ	ხშირად	ყოველთვის	კომენტარი	ინფორმაცია ციის წყარო
შეუძლია დამოუკიდებლად სახლის დალაგება						
შეუძლია დამოუკიდებლად ქურჭლის გარეცხვა						
შეუძლია დამოუკიდებლად საკვების მომზადება						
შეუძლია დამოუკიდებლად საკვების შენახვა						
შეუძლია უძრავ მოძრავი ქონების-მოვლა, ყიდვა/გაყიდვა/გაქირავება						
კომუნალური და სხვა გადასახადების გადახდა						
შეუძლია თეთრეულის და ტანსაცმლის გამოცვლა,გარეცხვა,გაშრობა						
საყოფაცხოვრებო ტექნიკის გამოყენება, მოვლა						
შეუძლია საყოფაცხოვრებო ნარჩენების მართვა						
აქვს მართო დარჩენის გამოცდილება აქვს						
<b>IV ნაწილი</b>						



სოციალური მუშაკის რეკომენდაცია სასამართლოს აქტით განსაზღვრულ სფეროში/სფეროებში მხარდაჭერის საჭიროების შესახებ
1
2
3
4
<b>და სხვ.</b> (მათ შორის სოციალური მუშაკის შეფასების საფუძველზე გამოკვეთილი საჭიროებები)

სოციალური მუშაკის ხელმოწერა:  
ვიზიტის დასრულების თარიღი:

## ფსიქო-სოციალური საჭიროების მქონე პირის შეფასების ფორმის შევსების ინსტრუქცია

ფსიქო-სოციალური საჭიროების მქონე შესაფასებელი პირის (შემდგომში – შესაფასებელი პირი) შეფასების ფორმის ინსტრუქცია (შემდგომში „ინსტრუქცია“) განმარტავს ფსიქო-სოციალური საჭიროების მქონე პირის შეფასების ფორმის შევსების პროცედურებსა და საქმის წარმოებას.

### შეფასების ფორმის სტრუქტურა:

აღნიშნული ფორმა შედგება ოთხი ნაწილისაგან:

I. შესავალი ნაწილი;

II. დემოგრაფიული ნაწილი;

III. ინდივიდუალური შეფასებითი/აღწერილობითი ნაწილი;

IV. დასკვნითი ნაწილი;

#### I. შესავალი ნაწილი:

აღნიშნული ნაწილი მოიცავს შემდეგ ინფორმაციას:

- შეფასების დაწყების თარიღს; ტერიტორიული ერთეულისა და განმახორციელებელი სოციალური მუშაკის მონაცემებს, ასევე მომართველი ორგანოს რეკვიზიტებსა და მომართვის თარიღს;
- მხარდაჭერის საჭიროების მქონე (შესაფასებელი) პირის სახელი, გვარი;
- სასამართლო აქტის რეკვიზიტების გრაფაში იწერება სასამართლოს დასახელება, აქტის ნომერი და გამოცემის თარიღი;
- სასამართლოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული სფერო/სფეროების გრაფები ივსება ცალ-ცალკე.

#### II. დემოგრაფიული ნაწილი:

აღნიშნული ნაწილი მოიცავს შემდეგ გრაფებს:

- ინფორმაციას შესაფასებელი პირის ფაქტობრივი ადგილსამყოფელის შესახებ;
- ინფორმაციას შეფასების პროცესში ჩართული პირების შესახებ;
- შესაფასებელი პირის პირად ინფორმაციას
- ინფორმაციას ოჯახური მდგომარეობის შესახებ.
- 

#### III. ინდივიდუალური შეფასებითი/აღწერილობითი ნაწილი:

მოიცავს ინფორმაციას შესაფასებელი პირის უნარების შესწავლისა და სოციალურ გარემოში მისი მდგომარეობის შეფასების შესახებ, რომლის დროსაც ფასდება:

- პიროვნული ცნობიერება.

- ფსიქიკური/ემოციური მდგომარეობა.
- ურთირთობები ოჯახის წევრებთან.
- პირის ზრუნვის უნარი.
- მობილურობა/მოტორიკა,
- აღქმის უნარი, ორიენტაცია,
- კომუნიკაცია,
- თვითმოვლა და ჰიგიენა,
- საკვების მიღების უნარს
- ჯანმრთელობა და უსაფრთხოება,
- სოციალური აქტივობა/ქცევა, სახლის მოვლა/საოჯახო საქმიანობა/ქონების შენახვა – განკარგვა

თითოეული უნარი უნდა შეფასდეს მისი გამოვლენის ხარისხის შესაბამისად, კერძოდ:

- **არასოდეს:** პირი საერთოდ ვერ ავლენს ამა თუ იმ უნარს
- **ზოგჯერ:** გარკვეულ სიტუაციაში პირს შეუძლია გამოავლინოს ესა თუ ის უნარი.
- **ხშირად:** პირი უმეტესად ავლენს შესაბამის უნარს
- **ყოველთვის:** პირს შესწევს უნარი იმოქმედოს დამოუკიდებლად.
- **კომენტარის გრაფაში იწერება ყველა სხვა ინფორმაცია.**
- **ინფორმაციის წყაროს გრაფაში** უნდა იქნას მითითებული ინფორმაციის მომწოდებლის ვინაობა. ინფორმაციის მიღება უნდა მოხდეს შესაფასებელი პირისგან, მხარდამჭერის მსურველი პირისგან და შესაძლებლობის შემთხვევაში, გადამოწმდეს მესამე (არადაინტერესებულ) პირთან. იმ შემთხვევაში, თუ შესაფასებელი პირისგან ინფორმაციის მიღება შეუძლებელია, ინფორმაციის მიღება სასურველის მოხდეს მესამე არადაინტერესებული პირისგან, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

#### IV. დასკვნითი ნაწილი

ამ ბლოკში იწერება სასამართლოს მიერ გამოცემული აქტით მოთხოვნილი თითოეულ სფეროში/სფეროებში გამოკვეთილი მხარდაჭერის საჭიროების საფუძველზე, სოციალური მუშაკი შეფასების შედეგად მიღებული და დამატებით გამოკვეთილი საჭიროებების შესახებ რეკომენდაციის დასაბუთება.

შევსებულ ფორმას სოციალური მუშაკი ადასტურებს ხელმოწერითა და შეფასების დასრულების თარიღით.

**შეფასება ხორციელდება შესაფასებელი პირის ადგილსამყოფელის მიხედვით.**

**შეფასების ფორმა ივსება მომართვიდან არა უმეტეს 10 სამუშაო დღეში.**

**შევსებული ფორმა ეგზავნება სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს.**